ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N61

ქ.თბილისი

9 ოქტომბერი, 2025 წელი
16$^{00}$საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
მარიამ გელაშვილი
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
ვიტალი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
თამარ ჩახვაშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი კახა აბულაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და კოლეგებს მიულოცა თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება. მან არჩევნებში გამარჯვება მიულოცა ასევე, პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მის ხელმძღვანელს, ირაკლი კობახიძეს და კახა კალაძეს. აქვე, განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება  მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც რეალურად არის წლების განმავლობაში გაწეული დაუღალავი შრომის შედეგი. საუბრის ბოლოს, ზურაბ აბაშიძემ, კიდევ ერთხელ მიულოცა გამარჯვება კოლეგებს, წარმატებები უსურვა, როგორც საკრებულოს მოქმედ, ასევე, მომავალ წევრებს და განაცხადა, რომ გაგრძელდება აქტიური მუშაობა ჩვენი დედაქალაქის და მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ოთარ გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც თვითმმართველობის არჩევნებში პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გამარჯვებაში შეიტანა წვლილი, განსაკუთრებით, არჩევნებში მონაწილე და გამარჯვებულ კანდიდატებს და განაცხადა, რომ ეს იყო ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გამარჯვება. მან მადლობა გადაუხადა ასევე, „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარეს, გენერალურ მდივანს, პარტიის ყველა თანამშრომელს და „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს „ეს დიდი გამარჯვება“. აქვე განაცხადა: „ძალიან მნიშვნელოვან ფაზაში შევდივართ, როგორც პოლიტიკური გუნდი, როგორც ახალი რეალობის მომსწრენი, იმიტომ, რომ, რეალურად, 4 ოქტომბერი არ იყო მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვების სიმბოლო, ეს იყო ქართველი ხალხის გამარჯვება, ვინაიდან ამ ბრძოლაში მთავარი იყო ის, რომ ბოროტება დამარცხდა და საფუძველი ჩაეყარა ახალ საწყისს. იმედი მაქვს, ახალი დასაწყისი გაცილებით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის, ვიდრე აქამდე იყო ქართული ოპოზიციის სახით“. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ წარმატებები უსურვა კოლეგებს.

ავთანდილ ცინცაძემ საკრებულოს წევრებს, კახა კალაძეს და საკრებულოს წევრობის თითოეულ კანდიდატს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და განაცხადა, რომ „ეს არ არის მხოლოდ მათი წარმატება, ეს არის თბილისის და თბილისელების გამარჯვება“. მან ასევე, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ თითოეულ ამომრჩეველს, განსაკუთრებით, საბურთალოს რაიონის მაცხოვრებლებს, რომლებისგანაც, წინასაარჩევნო პერიოდში გამართული შეხვედრების დროს, იგრძნობოდა მხარდაჭერა და გვერდში დგომა და  განაცხადა: „ვეცდები ეს გვერდში დგომა ერთი ათად დავუბრუნო თითოეულ მათგანს. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისელებთან ერთად, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ვიამაყებთ იმ პროექტებით, რომლებსაც კახა კალაძე და მისი გუნდი განახორციელებს“. საუბრის ბოლოს, ავთანდილ ცინცაძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს და წარმატებები უსურვა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე
თანამომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

6. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

7. „მისამართებზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114) და ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ. მან საკრებულოს წევრებს მიულოცა თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება და აღნიშნა, რომ კახა აბულაძეს მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში, ასევე, სხვადასხვა სამინისტროებსა და საგანმანათლებლო სფეროში, არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კითხულობს ლექციებს სამედიცინო ინსტიტუტში, ბოლო პერიოდში ეკავა ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობა და სწორედ საქმიანი და პირადი თვისებებიდან გამომდინარე, კახა კალაძემ წარმოადგინა მისი კანდიდატურა თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ კახა აბულაძე გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და პროფესიონალიზმით და ძალიან წარმატებით ართმევდა თავს მერიის სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო დანაყოფის, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელობას. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, კახა აბულაძე ძალიან ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს თბილისის მერის მოადგილის პოზიციაზე და წარმატებები უსურვა მას.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

კახა აბულაძემ 4 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა საკრებულოს წევრებს, წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. მან მადლობა გადაუხადა ასევე, კახა კალაძეს გამოცხადებული ნდობისთვის და განაცხადა: „მჯერა, ჩვენი ყოველი დღე და სამუშაო პროცესი მიმართული იქნება იქითკენ, რომ ქალაქი გახდეს კიდევ უფრო უკეთესი და ჩვენი ერთობლივი მუშაობა იქნება წარმატებული“.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება მიულოცა საკრებულოს წევრებს და წარმატებები უსურვა დედაქალაქის წინსვლისა და კეთილდღეობის საქმეში. წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში, განისაზღვრა, რომ პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების და რეალიზაციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით სამართალდარღვევის გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის ორგანოებმა. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება მუნიციპალური ინსპექციისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია წინა საკითხის თანმდევი პროექტი, რომელიც განსაზღვრავს, მუნიციპალური ინსპექციის რომელი სტრუქტურული დანაყოფი განახორციელებს რეაგირებას პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების და რეალიზაციის წესების დარღვევასთან დაკავშირებით გამოვლენილ სამართალდარღვევებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების საკითხი ორ თემასთან დაკავშირებით, კერძოდ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საგანმანათლებლო სკოლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დელეგირებული გახადოს მუნიციპალიტეტებზე, რის საფუძველზეც განათლების სამინისტროსა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების დელეგირებას და სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის მომსახურების გაწევის დელეგირებას.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა თვითმმართველობებისთვის, რადგან ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნაწილის განხორციელების და მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია დეცენტრალიზაციის მიმართულებით. ამასთანავე, თანამშრომლობის ეს ფორმა, მდგრადი მენეჯმენტის სისტემის მიმართულებით, არის ისეთი სიახლე, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის განვითარებას თვითმმართველობებში გადაიყვანს ახალ დონეზე.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს იმ სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების საკითხი, რომლებიც, მათ სკოლაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში, გადანაწილებული არიან სხვადასხვა სკოლებში და აქედან გამომდინარე, ზემოთ ხსენებული უფლებამოსილებების დელეგირება მუნიციპალიტეტს დაეხმარება ბევრი პრობლემის გადაჭრაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა ძალიან კარგია იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტურად მოხდება გადაწყვეტილებების მიღება.

ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია დეცენტრალიზაციის პროცესის დაწყება, რადგან სკოლებთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებს მათთან ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი, რათა მყისიერად ხდებოდეს იმ ტიპის პრობლემების გადაჭრა, რომლებსაც, გარკვეულწილად, სჭირდება ოპერატიულობა. აქვე განაცხადა, რომ აღნიშნული

არის სწორი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია იმისთვის, რომ დეცენტრალიზაცია ხელშესახები იყოს სკოლის მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის და შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინა საკითხი ითვალისწინებდა მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას, ხოლო წარმოდგენილი პროექტით გაფართოვდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მასშტაბი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ. N01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. N01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ე.წ. „ათორის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი, კერძოდ, ერთ პირს, რომელსაც 2016 წელს, 100000 აშშ დოლარად შეძენილი ჰქონდა 138 კვ.მ. საცხოვრებელი ბინა და 15 კვ.მ. ავტოფარეხი, ფულადი კომპენსაციის სახით, გადაეცემა 100000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ხსენებული ფართების მიღების სანაცვლოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „მისამართებზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114) და ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -

ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში, ქონების მართვის სააგენტოს დაევალა განსაზღვრულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით ხელშეკრულებების გაფორმება საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საჭირო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს გონივრულ ვადაში, წარმოდგენილია ხელშეკრულების გაფორმების ვადის გაგრძელება 2026 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 5 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი